სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში

2025

სარჩევი

აბრევიატურა 3

შესავალი 5

თავი I - ცენტრის ინსტიტუციური განვითარება 5

საკოორდინაციო საბჭო 5

2026-2030 წლების სტრატეგია 6

2026 წლის სამოქმედო გეგმა 7

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 8

შეფასების ერთიანი ჩარჩო (CAF) 9

ბიზნესპროცესების აღწერა 10

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება/დახვეწა 10

კვლევები და ანალიზის დოკუმენტები 10

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების პერსპექტივები 10

ონლაინუნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის ანალიზი 11

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა 11

ადამიანური რესურსების მართვა 12

ფინანსური რესურსების მართვა 13

საქმისწარმოება 13

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა 14

შიდა აუდიტი 14

სტრატეგიული კომუნიკაციები 15

შრომის უსაფრთხოება 15

თავი II - საერთაშორისო ურთიერთობები 16

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაცია - ENQA-ში სრული წევრობის და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში - EQAR რეგისტრაციის განახლება 16

საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა 16

SICI-ის საერთაშორისო სემინარი 16

ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა 17

საერთაშორისო ვიზიტები 19
საერთაშორისო ვალდებულებები 22
გაფორმებული მემორანდუმები 23
ERASMUS + პროგრამები 23
ARAQUA 2 23
GEOREF 23
TPG-LRC Plus 23
QUATRA-TPG A2 24
Micro-GEAR 24
PROFFORMANCE+ 24
DeSIRe 25
ETHICS 25
HEAL 26
DUGEOR 26
PRODIGE 26
თავი III - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 27
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი 28
სისტემის სხვადასხვა მხარეთა განმავითარებელი აქტივობები 29
კვალიფიკაციების განვითარება 29
თავი IV - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 30
არაფორმალური განათლება 31
თავი V - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 32
თავი VI - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 33
თავი VII - საგანმანათლებლო სერვისების განვითარება 34
თავი VIII - ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებული აქტივობების ანალიზი 36

აბრევიატურა

AI - ხელოვნური ინტელექტი;
AMSE - ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია;
ANVUR-იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევის შეფასების ეროვნული სააგენტო;
CAF - საერთო შეფასების ჩარჩო (Common Assessment Framework);
CBHE - ერასმუს+ - ის უმაღლესი განათლების შესაძლებლობების განვითარების (CBHE) პროგრამა;
CDEDU - ევროპის საბჭოს განათლების კომიტეტი;
CEENQA - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო;
CHAT GPT - ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე შექმნილი ჩატბოტი
CIMEA - იტალიის აკადემიური შესაბამისობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრი;
DeSIRE - რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
DGE - განათლების გენერალური დირექტორატი;
DGEA - სკოლების ადმინისტრირების გენერალური დირექტორატი;
DGESTE - სკოლების გენერალური დირექტორატი;
DLR - Disbursements Linked Results;
DUGEOR - საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება;
E-Flow - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა;
EHEA - ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე;
ENIC-NARIC Network - ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი;
ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;
ERASMUS + - ევროკავშირის პროგრამა ევროპაში განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მხარდაჭერისთვის;
EQAR - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი;
EQAVET - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი;
ESG 2015 - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;
ESU - ევროპის სტუდენტთა ასოციაცია;
ETHICS - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში;
EUA - ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია;
EURASHE - ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ასოციაცია;
HEAL - განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში;
HR - ადამიანური რესურსები;
JUAA- იაპონიის უნივერსიტეტების აკრედიტაციის ასოციაცია;
IBRD - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი;

INQAAHE - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი;
IPA - ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების დახმარების ინსტრუმენტი;
MAB - უნგრეთის აკრედიტაციის კომიტეტი;
Micro-GEAR - მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა;
MOOC - მასობრივი ონლაინ კურსები;
NAKVIS - სლოვენიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო;
PAR - საჯარო ადმინისტრირების რეფორმა;
PAT - სწავლა-სწავლების შეფასების ინსტრუმენტი;
PDF- პორტატული დოკუმენტის ფორმატი;
PLA - გამოცდილების გაზიარების ღონისძიება;
PR - საზოგადოებასთან ურთიერთობა;
PROFFORMANCE + - ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამა;
PRODIGE - ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში;
QUATRA -TPG A2 - ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამა;
SICI - ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორიატების ასოციაცია;
TAICEP - განათლების აღიარების საერთაშორისო შეფასების პროფესიონალთა ასოციაცია;
ToR - ტექნიკური დავალება;
TPG A on QF - ბოლონიის პროცესის კვალიფიკაციების ჩარჩოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი A;
TPG B LRC - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი B - ლისაბონის აღიარების კონვენციის შესახებ;
TPG C QA - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ C;
TPG D on SD - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი D - სოციალური განზომილება;
TST2 - ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელების თვითშეფასებისა და კოლეგიალური შეფასების პროექტი;
WFME - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის საქმიანობის ანგარიში ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. დოკუმენტი შედგება რვა თავისგან, რომლებშიც ასახულია - ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის განვითარების, საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების, განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ცენტრის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებები.

თავი I - ცენტრის ინსტიტუციური განვითარება

საკოორდინაციო საბჭო

2025 წელს ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს, როგორც მენეჯერული რგოლის, ფუნქციები გაფართოვდა და იგი აქტიურად ჩაერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრის გარე შეფასების ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებიდან. კერძოდ, მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ✓ ცენტრის საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილი გახდა შეარჩიოს ცენტრის დირექტორობის კანდიდატი/კანდიდატები;
- ✓ დირექტორის კანდიდატის შესარჩევი კომისია სრულად დაკომპლექტებულია ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებით, რომელიც სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ✓ ცენტრის საკოორდინაციო საბჭო, დირექტორობის კანდიდატს/კანდიდატებს წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, რომელიც წარდგენილ კანდიდატს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს;
- ✓ ცენტრის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ნაცვლად დირექტორისა, ამტკიცებს ცენტრის საკოორდინაციო საბჭო;
- ✓ ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრების შესარჩევი კომისიის 2/3 ნაცვლად ½-ისა კომპლექტდება საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობიდან;
- ✓ საკოორდინაციო საბჭო ქმნის ავტორიზაციის, აკრედიტაციის, სააპელაციო საბჭოების წევრების, ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ცენტრის აუდიტის სამსახურის თანამშრომლის საქმიანობის შემსწავლელ ეთიკის კომისიას, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;
- ✓ საკოორდინაციო საბჭოს სხდომამდე, ნაცვლად 7 დღისა, 14 დღით ადრე ეგზავნება განსახილველი საკითხების თაობაზე დოკუმენტაცია.

საკოორდინაციო საბჭოს, მისი კომპეტენციების ფარგლებში მიენიჭა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება.

ცენტრის საკოორდინაციო საბჭომ, 2025 წლის განმავლობაში განიხილა და შეითანხმა, ან დაამტკიცა განათლების სისტემისთვის და ცენტრისთვის, როგორც ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. 2025 წლის განმავლობაში ჯამში ჩატარდა შვიდი შეხვედრა, რომლებზეც საბჭომ დაამტკიცა:

- ✓ ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგია;
- ✓ ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ✓ ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, აუდიტის სამსახურის თანამშრომლის საქმიანობის შემსწავლელი ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის ეთიკის კოდექსი. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრების მიმართ წარსადგენი საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის წესი და პირობები.

საბჭოსთან შეთანხმდა:

- ✓ ცენტრის დებულებაში შესატანი ცვლილებები;
- ✓ ENQA-ს ფოკუსირებული შეფასებისთვის მომზადებული თვითშეფასება;
- ✓ 2021-2025 წლების სტრატეგიის დამტკიცებული 2025 წლის სამოქმედო გეგმის ცვლილებები;
- ✓ ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები;
- ✓ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში შესატანი ცვლილებები;
- ✓ ცენტრის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში;
- ✓ ცვლილებები ცენტრის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში;
- ✓ ცვლილებები ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესში;
- ✓ ცენტრის ფუნქციის ცვლილება - „შეიმუშავებს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს“;
- ✓ 2026 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ცენტრის საშტატო ნუსხა.

2025 წელს, ასევე, გაიმართა საკოორდინაციო საბჭოსა და ცენტრის წარმომადგენელების ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს ENQA-ს რეკომენდაციების საპასუხოდ განსახორციელებელი ღონისძიებები და ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმები და წევრების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე.

2026-2030 წლების სტრატეგია

2025 წელს, დასრულდა ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლი, შესაბამისად ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის მომზადების მიზნით, 2024 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი შეიმუშავა.

პირველ ეტაპზე მომზადდა სიტუაციური ანალიზი, რომლის შემუშავებისას გამოყენებულია სხვადასხვა სტრატეგიული, ანალიტიკური და კვლევითი დოკუმენტები.
სიტუაციურ ანალიზში იდენტიფიცირებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი და საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისა და უკუკავშირის მიღების მიზნით, 2025 წლის 12 სექტემბერს, მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან მისი საჯარო განხილვა. შეხვედრას 100-მდე პირი დაესწრო. ამასთან, დოკუმენტი 10 კალენდარული დღის ვადით გამოქვეყნდა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, 2025 წლის 7 ოქტომბერს, ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარედგინა, შეხვედრას 113 პირი დაესწრო. ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგია საკოორდინაციო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა.
ცენტრის სტრატეგიაში მოცემულია 4 სტრატეგიული მიზანი და 15 ამოცანა. სტრატეგიის თითოეულ მიზანს და ამოცანას გააჩნია საბაზისო, შუალედური და საბოლოო გაზომვადი ინდიკატორ(ებ)ი, რომელიც სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასებისას იქნება შედეგების გაზომვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი. ამასთან, სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის ინდიკატორს გააჩნია ინდიკატორის შესაბამისი პასპორტი, სადაც თითოეულ ინდიკატორზე განისაზღვრა ცენტრის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, მონაცემთა შეგროვების მეთოდი და სხვა რელევანტური ინფორმაცია. მიზნის და ამოცანის ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლებად 2025 წელი, შუალედურ მაჩვენებლად 2028 წელი, ხოლო საბოლოო მაჩვენებლად 2030 წელი განისაზღვრა. მიზნებისა და ამოცანების ინდიკატორები 2030 წლისთვისაა მოცემული. ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე.

2026 წლის სამოქმედო გეგმა

ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიული ციკლის 2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება 2025 წლის სექტემბერში დაიწყო. ცენტრის სამსახურების მიერ თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის შემუშავდა აქტივობები, შესაბამისი ინდიკატორებით, მტკიცებულებებით, შესრულების ვადებით და რესურსებით. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სამოქმედო გეგმის პროექტი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს წარუდგინა. ჩატარებულ შეხვედრებს, ონლაინფორმატში 300-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ბაღების გაერთიანებების, რესურსცენტრების წარმომდგენლები, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, სააპელაციო საბჭოების წევრები და ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები. 2025 წლის 24 დეკემბერს, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმა.

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

2025 წლის 23-24 სექტემბერს, ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. ღონისძიება ცენტრის დაარსების 15 წლის იუბილეს და საქართველოს ბოლონიის პროცესთან მიერთების 20 წლისთავს მიეძღვნა. ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობდნენ - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME), ევროპის უნივერისტეტების ასოციაციის (EUA) ევროპის სტუდენტთა ასოციაციის (ESU), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (CEENQA) და ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) წარმომადგენლები, ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში განიხილეს უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი, ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროებში მიღებული მიღწევები და არსებული გამოწვევები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი, ადრეული და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში

განხილული საკითხები ცენტრის ვებგვერდზე საჯაროდაა ხელმისაწვდომი: https://www.eqe.ge/ka/page/parent/1120/konferencia-2025

შეფასების ერთიანი ჩარჩო (CAF)

2025 წელს, ცენტრმა, ხარისხის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტის - შეფასების ერთიანი ჩარჩოს (CAF) გამოყენებით და საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით, მეორედ ჩაატარა ცენტრის თვითშეფასება. პროცესის მთავარი მიზანი იყო, თვითშეფასების გზით ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება და ხარისხზე ორიენტირებული მართვის უზრუნველყოფა. თვითშეფასება სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა, "ქვემოდან ზემოთ" (Bottom-up) მიდგომით, სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 13 თანამშრომლისგან, რომლებიც ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მეთოდოლოგია ეფუძნებოდა CAF-ის 9 კრიტერიუმს, რაც მოიცავდა როგორც ხელშემწყობ ფაქტორებს (ლიდერობა, სტრატეგია, პერსონალი, რესურსები, პროცესები), ისე მიღებულ შედეგებს. სამუშაო პროცესი სპეციალური ქულების სისტემით გულისხმობდა ინდივიდუალურ ანალიზს, კონსესუსშეხვედრებსა და აქტივობების პრიორიტეტიზაციას. ანალიზის შედეგად, 170-ზე მეტი გასაუმჯობესებელი ქმედება გამოვლინდა, საიდანაც მაღალი პრიორიტეტულობა მიენიჭა 19 საკვანძო აქტივობას. გამოწვევები ძირითადად უკავშირდება შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას, HR პოლიტიკის დახვეწას, ციფრული სერვისების განვითარებასა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლებას. აღნიშნული მიგნებების

საფუძველზე, შემუშავდა CAF-ის 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა, ხოლო აქტივობები, რომლების განხორციელების დროც არ აღემატებოდა 12 თვეს, ინტეგრირდა ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმაში. გეგმის შესრულების მონიტორინგს CAF-ის სამუშაო ჯგუფი კვარტალური პროგრესანგარიშების მომზადების გზით განახორციელებს.

ბიზნესპროცესების აღწერა

ცენტრმა, 2025 წელს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გასავითარებლად, ბიზნესპროცესების აღწერა გააგრძელა. 2025 წელს, 17 ბიზნესპროცესი, როგორც ექსელში ასევე, ვიზუალური მოდელირების გამოყენებით (Visio) აღიწერა. აღწერილი ბინზესპროცესები ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, ბიზნესპროცესების რეესტრის პორტალზე (SharePoint) განთავსდა. 2021-2025 სტრატეგიულ ციკლში, სულ 59 ბიზნესპროცესია აღწერილი.

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება/დახვეწა

2025 წელს, გაძლიერდა ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და აპელაციის საბჭოების საქმიანობის ეთიკური და ინსტიტუციური ჩარჩო. შემუშავდა საბჭოს წევრთა ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული ქცევის, დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. ეთიკის კოდექსი წარმოადგენს საბჭოს საქმიანობის ერთიან ნორმატიულ საფუძველს და მიზნად ისახავს გადაწყვეტილებების სანდოობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას.

ამასთან, გადაიხედა ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრთა შერჩევის წესები ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და გადაწყვეტილებების შესაძლო გავლენებს და აძლიერებენ საბჭოების დამოუკიდებლობას. განხორციელებული ცვლილებები ხელს უწყობენ საბჭოების საქმიანობის პროფესიულ განვითარებასა და ინსტიტუციური მდგრადობის განმტკიცებას. ასევე, განისაზღვრა საჩივრების განხილვის გამჭვირვალე და სტრუქტურირებული მექანიზმები. დადგენილია საჩივრის წარდგენის, რეგისტრაციისა და განხილვის პროცედურები, ასევე, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები. უზრუნველყოფილია ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა. შემოღებული პროცედურები უზრუნველყოფენ თითოეული შემთხვევის სრულყოფილ შესწავლას, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებასა და პროცესის საჯაროობას.

კვლევები და ანალიზის დოკუმენტები

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების პერსპექტივები

2025 წელს, განხორციელდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების პრაქტიკის ანალიზი. ბოლო წლებში, ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფმა განვითარებამ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების პოტენციალი შექმნა. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს, გაანალიზოს AI-ის გამოყენების პოტენციალი უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შიდა

ინსტიტუციურ პროცესებში (ორგანიზაციის შიდა ხარისხის მექანიზმებში და ანალიტიკურ საქმიანობაში). კვლევისთვის გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, მათ შორის: სამაგიდო კვლევა, ENQA-ს წევრი სააგენტოების ონლაინგამოკითხვა, შემთხვევის შესწავლა და ინტერვიუ. კვლევას ასევე მხარს უჭერდა AI-ის ტექნოლოგია – ChatGPT, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი ინფორმაციის/წყაროების მოძიების და შინაარსის რედაქტირების პროცესებში. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ხელოვნური ინტელექტის ეტაპობრივი ინტეგრაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ მიზანშეწონილიცაა. ცენტრის დონეზე რეკომენდებულია AI-ის ინტეგრაციის სტრატეგიული ხედვის ფორმირება, შიდა პროცედურებისა და პერსონალის ადაპტაცია AI-ის მოხმარებასთან, ეთიკური ჩარჩოების განსაზღვრა და საპილოტე ინიციატივების განხორციელება.

ონლაინუნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის ანალიზი

ცენტრმა, 2025 წელს ონლაინუნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკა შეისწავლა. ანალიზი მიზნად ისახავს ონლაინუნივერსიტეტებისთვის შესაბამისი პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და ონლაინუნივერსიტეტების რეგულირების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს. სამუშაო პროცესი სამაგიდე კვლევის, ონლაინგამოკითხვის, შედარებითი ანალიზისა და შემთხვევის შესწავლის მეთოდების გამოყენებით განხორციელდა. ონლაინგამოკითხვის რესპონდენტებად შეირჩნენ ENQA-ს სრული წევრი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები (ევროპის 9 ქვეყნის 12 სააგენტო). ამასთან, შემთხვევის შესწავლის საფუძველზე, გაანალიზდა ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკა, კერძოდ, ესპანეთში არსებული ონალინუნივერსიტეტებისა და ხარისხის სააგენტოების საქმიანობა.

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

საანგარიშო პერიოდში, ცენტრის მიერ გაცემული 6 მიმართულების სერვისების თაობაზე ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილე სერვისების იდენტიფიცირება სერვისების მიმწოდებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციით განხორციელდა. შესაბამისად, სტრუქტურული ერთეულების მიერ განისაზღვრა კვლევის სამიზნე შემდეგი სერვისები:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში, საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილება;
- ✓ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის რეგისტრაცია;
- ✓ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება;
- ✓ ცხელი ხაზის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა.

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა 2025 წლის აპრილიდან - ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა. თითოეული სერვისისთვის, შესაბამის სამსახურებთან აქტიური კომუნიკაციით

შეგროვდა კვლევისთვის განსაზღვრული პერიოდის შესაბამისი წარმოებების ნუსხა, ცხელი ხაზის მომხმარებელთა კვლევის შემთხვევაში - მომსახურების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების საკონტაქტო ინფორმაცია. თითოეული მიმართულებით მომზადდა კვლევის მეთოდოლოგია; განისაზღვრა კვლევის მონაწილეების შერჩევის პრინციპი; შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტები. მეთოდოლოგიის შესაბამისად შეგროვდა მონაცემები, გაანალიზდა და მომზადდა კვლევის ანგარიშები.

ადამიანური რესურსების მართვა

2025 წელს, მომზადდა ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის დოკუმენტი, რომლის მიზანია ცენტრში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული ჩარჩოს განსაზღვრა, რომელიც თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, მოტივაციისა და ეფექტური მუშაობის პირობების შექმნას უზრუნველყოფს.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით, ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: ორგანიზაციული კეთილდღეობა, რომელიც მოიცავდა ლექციების ციკლს (სულ 6 ლექციას); კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ორგანიზაციის მართვაში; ორგანიზაციული სამართლიანობა; მენტალური ჯანმრთელობა და სამუშაო გარემო; თანამშრომელთა ჩართულობა და მოტივაცია; ადამიანი ორგანიზაციაზე მეტია; ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაციული კეთილდღეობა; ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და პრაქტიკული ინსტრუმენტები; პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები.

2025 წელს, ცენტრში დაინერგა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროგრამა. ადაპტაციით კმაყოფილების კვლევის შედეგად, ყველა გამოკითხულის მიერ უკუკავშირი დადებითი იყო.

საქართველოს მთავრობის ინიცირებული სახელმწიფო ანაზღაურებადი სტაჟირების სამთვიანი პროგრამის ფარგლებში, ცენტრის 10 სტრუქტურულ ერთეულში კონკურსი 17 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა. საკონკურსო კომისიის მიერ, 7 სტრუქტურულ ერთეულში 11 სტაჟიორი შეირჩა.

შესაბამისი ორგანიზაციული პროცედურებისა და დადგენილი წესების შესაბამისად (ვიზირება/ხელმოწერა) მომზადდა: 469 შრომითი ხელშეკრულება, ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრ ექსპერტებთან 1,752 შრომითი ხელშეკრულება, მათ შპროს: ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ხელშეკრულებები - 112; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ხელშეკრულებები - 704; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა ხელშეკრულებები - 273; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტთა ხელშეკრულებები - 153; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ხელშეკრულებები - 510.

ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია შემდეგი მიმართულებებით: განათლება, ინტერდისციპლინური, გარემოს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, წარმოება და გადამუშავება, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ვეტერინარია, ინტერდისციპლინური, ტრანსპორტის მომსახურებები. ატესტაციის პროცესი გაიარა 34-მა ექსპერტმა.

ფინანსური რესურსების მართვა

ფინანსური უზრუნველყოფის მართვის მიმართულებით მომზადდა ცენტრის 2026-2029 წლების საბიუჯეტო განაცხადი, დამტკიცდა 2025 წლის ცენტრის ბიუჯეტი და საშტატო ნუსხა. მომზადდა 2025 წლის ცენტრის ბიუჯეტის შესრულებისა და საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმების 3, 6, 9 თვის და 2024 წლის 12 თვის ფინანსური ანგარიშები.



გრაფიკი №1: ფინანსური მაჩვენებლების ტენდენცია 2022-2025 წლებში

2022-2025 წლებში, ცენტრის ბიუჯეტში საკუთარი სახსრების წილი სტაბილურად დაახლოებით 63%-დან 69%-ის ჩათვლით მერყეობს (იხილეთ გრაფიკი №1), რაც ცენტრის მიერ გაცემული/შეთავაზებული სერვისების შედეგად მიღებული საკუთარი შემოსავლების სტაბილურობაზე და მდგრადობაზე მიუთითებს.

საქმისწარმოება

2025 წლის აგვისტოდან, საერთაშორისო სტუდენტებს მიეცათ საშუალება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და კომისიური წესით ჩარიცხვის მიზნით, განაცხადი ცენტრში წარმოადგინონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ს საშუალებით, ხოლო 2025 წლის ნოემბრიდან, მოქალაქეებს მიეცათ საშუალება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნით, ცენტრში განაცხადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით და ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow-ს საშუალებით წარმოადგინონ.



გრაფიკი №2: შედარება 2023-2025 წლის იანვარი-დეკემბრის თვეების დოკუმენტბრუნვის

ცენტრის არქივმა ორი საქმიანობაშეწყვეტილი საგანმანათლებლო დაწესებულების საარქივო მასალა ჩაიბარა: შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის საქართველოს მრავალპროფილიანი აკადემია და შპს ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი.

დამუშავდა 2022 წლის საარქივო მასალა. ცენტრის არქივის პასპორტი (ცენტრის არქივში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების თაობაზე ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები) გაიგზავნა საქართველოს ეროვნულ არქივში.

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

შემუშავდა და დაინერგა ცენტრის საჭიროებებზე მორგებული საწყობის მართვის ელექტრონული პლატფორმა .

ცენტრში არსებული ელექტრონული პლატფორმების ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, აღმოიფხვრა არსებული ტექნიკური ხარვეზები, განვითარდა ზოგიერთი ელექტრონული პლატფორმა.

ცენტრის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 137 ხელშეკრულება, რომლების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1,057,775.17 ლარი.

შიდა აუდიტი

განხორციელდა შემდეგი დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია პროცესების შესაბამისობის აუდიტი; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარებისა და მონიტორინგის განხორციელების გზით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაცვის

კონტროლის პროცესების შესაბამისობისა და სისტემური აუდიტორული შემოწმება; საქმისწარმოების პროცესის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესის შესაბამისობის აუდიტი; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარებისა და მონიტორინგის განხორციელების გზით ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის კონტროლის პროცესის შესაბამისობის აუდიტი. გარდა აღნიშნულისა, შემოწმდა და გაანალიზდა აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების პროგრესი. 2025 წელს, რისკის შეფასების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, შეფასდა 4 ბიზნესპროცესის რისკი და შემუშავდა რისკის შეფასების მატრიცები.

სტრატეგიული კომუნიკაციები

2025 წელს ცენტრმა შეიმუშავა მედიასთან ურთიერთობის გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო წლის განმავლობაში განსახორციელებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება. საანგარიშო პერიოდში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის სხვადასხვა საშუალებებთან, მონაწილეობდა თემატურ გადაცემებში და უზრუნველყოფილი იყო ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიებისა და ნიუსების გავრცელება.

ინფორმაცია სისტემატურად ვრცელდებოდა ცენტრის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების (Facebook, LinkedIn, YouTube) საშუალებით, სადაც რეგულარულად ქვეყნდებოდა სიახლეები, აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები.

ამასთან, განახლდა სტრატეგიული კომუნიკაციების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნული აქტივობა ინიცირებული იყო ცენტრის სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და CAF თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით.

ცენტრმა გააგრძელა შეხვედრების ციკლი განათლების ხარისხის განვითარებით დაინტერესებულ სტუდენტებთან და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან. შეხვედრებზე ძირითადად განხილული იყო ცენტრის მიმდინარე პროექტები, აქტივობები, მიღწევები და სამომავლო გეგმები.

შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოების საკითხებზე შეიქმნა სახელმძღვანელო: ცენტრში დასაქმებულ პირთა შრომის უსაფრთხოების წესები მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოცემული წესები განკუთვნილია ცენტრის იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც მუდმივად ან პერიოდულად იყენებენ პერსონალურ კომპიუტერებს, ასევე სპეციალისტებისთვის, რომლებიც პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს ასრულებენ კომპიუტერზე ან იმ პირებისთვის, რომლებიც მათი სამუშაო დროის ნახევარზე მეტი დაკავებულები არიან მონიტორიან დანადგარებთან. ამასთან, ცენტრმა შეიძინა პირველადი დახმარებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი.

თავი II - საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაცია - ENQA-ში სრული წევრობის და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში - EQAR რეგისტრაციის განახლება

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში (ENQA) სრული წევრობის სტატუსის შენარჩუნებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრში (EQAR) რეგისტრაციის აღდგენის მიზნით, ცენტრმა ფოკუსირებული შეფასებისთვის ENQA-ს მიმართა. მოთხოვნის შესაბამისად, ცენტრი ESG 3.3 (დამოუკიდებლობა) და ESG 2.5 (შედეგების კრიტერიუმები) სტანდარტებთან შესაბამისობაში შეფასდა. მხარეები შეთანხმდნენ ტექნიკური დავალების (ToR) პირობებზე, დეტალურად გაწერეს კონკრეტული ვადები და განსახორციელებელი ეტაპები. აღნიშნული ვადების შესაბამისად, ცენტრში შეიქმნა თვითშეფასების მომზადების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ENQA-ში თვითშეფასების ანგარიში წარადგინა. სამუშაო ჯგუფი ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებით, სტუდენტთა წარმომადგენლით, ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წარმომადგენლებით და ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებით დაკომპლექტდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა

ცენტრი განათლების აღიარების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციაში - საგანმანათლებლო დოკუმენტების/განათლების შედეგების შემფასებელ პროფესიონალთა საერთაშორისო ასოციაციაში (TAICEP) გაწევრიანდა. TAICEP-ში გაწევრიანება უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომლებისთვის პროფესიული ცოდნისა და უნარების დადასტურებას, საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციებს, ვებინარებისა და კონფერენციების მასალებზე წვდომას, ინსტიტუტებისა და საგანმანათლებლო სისტემების მონაცემთა ბაზებს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) გენერალურ ასამბლეაზე, ქსელის წევრებმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი აღმასრულებელი საბჭოს წევრად აირჩიეს. ცენტრს ეძლევა შესაძლებლობა – CEENQA-სთან დაკავშირებული სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში აქტიურად იყოს ჩართული და გააღრმაოს საერთაშორისო თანამშრომლობა.

SICI-ის საერთაშორისო სემინარი

ცენტრმა, ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტირების ასოციაციის (SICI) რიგით 27-ე საერთაშორისო სემინარს უმასპინძლა, რომელშიც ევროპის 14 ქვეყნის 23-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. სემინარის - „ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების ანალიზი, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების

გათვალისწინებით“ ფარგლებში, მონაწილეებმა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები და მათი აღიარების პროცედურები განიხილეს. ამასთან, საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საკანონმდებლო ჩარჩოსა და მათი განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. სემინარში, ასევე, მიიღეს მონაწილეობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ცენტრის თანამშრომლებმა, საკოორდინაციო საბჭოსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა.

ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა

ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფებში ცენტრი მონაწილეობს, როგორც თემატურ, ასევე, სამუშაო ჯგუფებში. ცენტრი წარმოდგენილია შემდეგ თემატურ და სამუშაო ჯგუფებში: კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური სამუშაო ჯგუფი (TPG A on QF); ლისაბონის აღიარების კონვენციის თემატური ჯგუფი (TPG B on LRC); ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი (TPG C on QA); სოციალური განზომილების თემატური ჯგუფი (TPG D on SD); ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სამუშაო ჯგუფი.

2025 წლის განმავლობაში, ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 13 სამუშაო შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატურ სამუშაო ჯგუფში ცენტრი წარმოდგენილია თანათავმჯდომარის პოზიციაზე. ასევე, ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სამუშაო ჯგუფში ცენტრი წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სამოქმედო გეგმის შემუშავების ქვეჯგუფში.

- ✓ ცენტრი თანათავმჯდომარის სტატუსით მონაწილეობდა რიგაში გამართულ TPG A on QF შეხვედრაში, სადაც განიხილეს კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგები, სამსაფეხურიანი პროგრამების დანერგვის პროგრესი და ბოლონიის პროცესის ძირითადი ვალდებულებების შესრულება. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა თემატური სამუშაო ჯგუფების (TPG B; TPG C) აქტივობებზე და მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე. ასევე გაიმართა QUATRA–TPG A2 პროექტის პირველი სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანია კვალიფიკაციის ჩარჩოების განვითარების გამოცდილების გაზიარება და სწავლების შესაძლებლობების ხელშეწყობა. შემდგომი ონლაინშეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ავტომატური აღიარების პროგრესზე, მოქნილი სასწავლო გზების განვითარებაზე და ბოლონიის პროცესის ანგარიშის ახალი სტრუქტურისა და ინდიკატორების წარდგენაზე.
- ✓ ლისაბონის კონვენციის თემატური ჯგუფის (TPG B on LRC) ფარგლებში გამართული შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ჯგუფის საქმიანობის სტრუქტურის განსაზღვრა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება. ყურადღება გამახვილდა სამართლებრივი ჩარჩოების შექმნაზე, რომელიც აუცილებელია კონვენციის ეფექტური განხორციელებისთვის. ასევე, განიხილეს ინსტიტუციური პასუხისმგებლობების განაწილება, რათა აღიარების პროცესი იყოს გამჭვირვალე და ეფექტური. მნიშვნელოვანი თემა იყო ავტომატური აღიარების მიღწევა, რაც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პროფესიონალების მობილობის გამარტივებას. ყურადღება დაეთმო ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა აღიარების პროცესი გახდეს უფრო სწრაფი და ეფექტური. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში,

კონკრეტულად აქცენტი დაისვა EHEA-ში ლისაბონის აღიარების კონვენციის განხორციელებაზე. ყურადღება გამახვილდა 5 ძირითადი პრინციპის პრაქტიკაში დანერგვაზე: კვალიფიკაციის სამართლიანი/გამჭვირვალე შეფასების პროცესი; აღიარების ვალდებულება, თუ კვალიფიკაციებს შორის არსებითი განსხვავებების დადასტურება შეუძლებელია; აღიარების პროცესში სწავლის შედეგების შედარება და არა პროგრამის შინაარსი; უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში არსებითი განსხვავების დემონსტრირება; გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

- ✓ თემატური ჯგუფის TPG C ფარგლებში გამართული შეხვედრების მთავარი თემები იყო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერება, ESG-ის განახლების პროცესი, ხელოვნური ინტელექტის გავლენა სწავლასა და შეფასებაზე, მიკროკრედიტები, მოქნილი სასწავლო გზების განვითარება და Cross-Border ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მონაწილეებმა 2024-2027 წლებისთვის წარმოადგინეს ეროვნული სამოქმედო გეგმები , სადაც ასახული იყო რეფორმები და აქტივობები ხარისხის სისტემების განვითარებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ტრანსნაციონალური პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისადმი მზარდ მოთხოვნებს.
- ✓ სოციალური განზომილების თემატური ჯგუფის D (TPG D on Social Dimension) ფარგლებში, ცენტრმა სამუშაო შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა, რომელზეც ყურადღება გამახვილდა სოციალური განზომილების მნიშვნელობაზე უმაღლეს განათლებაში. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სტრატეგიის არსებობის აუცილებლობას, ინკლუზიურობას, მონაცემთა შეგროვებასა და შედეგების მონიტორინგს. შეხვედრებზე განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. შეხვედრაზე მონაწილე ქვეყნებმა გააზიარეს პრაქტიკა სტუდენტთა კეთილდღეობის მიმართულებით: კვების სერვისები, ხელმისაწვდომი ფასები, მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და სპორტული აქტივობები. აღინიშნა გამოწვევები, როგორებიცაა - მონაცემთა რეგულარული შეგროვება, ინსტიტუციურ კოორდინაციაში ხარვეზები და ფინანსური შეზღუდვები. შეხვედრის დასასრულს, სამუშაო ჯგუფმა სოციალური განზომილების მონიტორინგისთვის შეარჩია 5 ძირითადი ინდიკატორი, რომლებიც EHEA-ს სამდივნოს უკუკავშირისთვის გადაეგზავნება.
- ✓ ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გამართულ პირველ შეხვედრაზე განისაზღვრა 2025–2027 წლების საკითხების ტექნიკური დავალება, ქვეჯგუფების ჩამოყალიბება და სამოქმედო გეგმის მომზადება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონისა და სამოქმედო გეგმის მომზადებას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობას, ბარიერების შემცირებას და ინკლუზიურობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირებას. შემდგომ შეხვედრებზე, მონაწილეებმა გააზიარეს გამოცდილება და განიხილეს მობილობის სტრატეგიული ხედვები. დისკუსიებში გამოიკვეთა ძირითადი ბარიერები: საკანონმდებლო შეზღუდვები, ხარისხის უზრუნველყოფის ჰარმონიზაციის სირთულეები, განათლების აღიარების პროცედურების სირთულე, ადმინისტრაციული ბარიერები, ენის კომპეტენციის პრობლემები და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის ნაკლებობა. სამოქმედო გეგმის პროექტში ინტეგრირდა ცენტრის მიერ წარდგენილი აქტივობები, რომლებიც ეხება ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებას ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის მხარდასაჭერად.

საერთაშორისო ვიზიტები

ცენტრის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ავტომატური აღიარების სამუშაო ჯგუფის მე-6 შეხვედრაში. ევროპის საბჭოს განათლების კომიტეტის (CDEDU) რეკომენდაციით, 2022 წელს ჩამოყალიბდა ავტომატური აღიარების სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მთავარი მიზანია, ავტომატური აღიარების შესახებ სამართლებრივად სავალდებულო ტექსტის მომზადება და კომიტეტისთვის წარდგენა. ასევე, სტრასბურგში ჩატარდა ევროსაბჭოს განათლების დეპარტამენტის პლენარული სესია, რომლის ფარგლებშიც მიიღეს გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის გაფართოების შესახებ და 2025 წლიდან ჯგუფს საქართველოც შეუერთდა.

ცენტრის წარმომადგენელი დაესწრო ქალაქ რომში, იტალიაში TPG-LRC Core – IN-GLOBAL ფინალურ კონფერენციას - „უმაღლესი განათლების მომავალი: პრიორიტეტები და შესაძლებლობები EHEA-ში და გლობალურ დონეზე". კონფერენცია და პროექტი CIMEA-მიერ განხორციელდა. TPG-LRC Constructing Recognition in EHEA (TPG-LRC Core) პროექტი მიზნად ისახავდა ბოლონიის პროცესის განხორციელების მხარდაჭერას, რომელიც ფოკუსირებულია მის ძირითად მე-2-ე ვალდებულებაზე, ეროვნულ კანონმდებლობასა და პროცედურებზე, რომლებიც შეესაბამება ლისაბონის აღიარების კონვენციას. TPG B თემატური ჯგუფი შექმნილია განათლების აღიარების მიმართულებით. ჯგუფის სამუშაო სტრუქტურის საქმიანობა მიმართულია წევრ ქვეყნებს დაეხმაროს სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებასა და დახვეწაში, რათა ეფექტურად განახორციელონ LRC. ჯგუფი ასევე მუშაობს და იმუშავებს EHEA ქვეყნებში კვალიფიკაციების აღიარების უწყვეტ პროცესზე.

ლატვიის აკადემიური საინფორმაციო ცენტრის მიწვევით, ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა ორ ღონისძიებაში: „კვალიფიკაციების ჩარჩოს ნდობის გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისათვის" და აკვალიფიკაციების ჩარჩოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) შეხვედრაში.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის - ENQA-ს მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც განკუთვნილი იყო იმ სააგენტოებისთვის, რომლებმაც 2023-2024 წლებში ENQA-ს გარე შეფასება გაიარეს. შეხვედრა ENQA-ს მიერ შეფასების შემდგომი განვითარების გეგმების თაობაზე ინფორმაციის გაზიარებას დაეთმო.

„კვალიფიკაციების ჩარჩოს ნდობის გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისათვის" QUATRA პროექტის ფარგლებში გაიმართა შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც 35 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. რიგაში ჩატარებულია შემაჯამებელი კონფერენცია მიზნად ისახავდა კვალიფიკაციის ჩარჩოს პრიორიტეტებთან დაკავშირებით, ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, საუკეთესო პრაქტიკების ურთიერთგაზიარებას.

ცენტრმა, ტოკიოში, მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელის (INQAAHE) რიგით მე-18 კონფერენციაში, სახელწოდებით: "The Big Bang Theory: the Quality Assurance Paradigm Shift," რომლის მასპინძელი იყო იაპონიის უნივერსიტეტების აკრედიტაციის ასოციაცია (JUAA). კონფერენციაზე წარადგინეს INQAAHE-ს მიერ ჩატარებული უმაღლესი განათლების მიმართულებით გლობალური ტენდენციების კვლევის შედეგების პირველადი მიგნებები.

განხილვის პროცესში ყურადღება გამახვილდა განათლებაში გლობალურ გამოწვევებზე, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის როლზე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მხარდასაჭერად. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ხელოვნურ ინტელექტს და მის როლს განათლების ხარისხის განვითარებაში, ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების აღიარების საკითხებში, განსაკუთრებით გლობალური კონვენციის კონტექსტში.

ცენტრის წარმომადგენელი, ლატვიასა და ესტონეთში, დაესწრო ღონისძიებას თემაზე: თანატოლთა სწავლება – განათლების რეფორმებისა და უნარების მხარდაჭერა, ხარისხიანი განათლება ყველასთვის; სასკოლო ქსელების ადაპტირება თანასწორობის ხელმისაწვდომობისთვის, რომლის მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ცოდნის გაცვლისა და გაზიარების შესაძლებლობების გზით, კერძოდ: სასკოლო ქსელის ოპტიმიზაციის გააზრების გაუმჯობესება; გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლა; ქმედითი სტრატეგიების შემუშავება; ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

ცენტრის წარმომადგენელი დაესწრო, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) კონფერენციას, ტაილანდში, კონფერენციის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა WFME-ის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან და განიხილეს საქართველოში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. შეხვედრის ფარგლებში, ასევე, ზოგად ჭრილში განიხილეს საუნივერსიტეტო და პოსტდიპლომურ სწავლებას შორის არსებული კავშირები. კონფერენციას ესწრებოდა 92 ქვეყნის 970 წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოში ავტორიზებული სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 25 დელეგატი.

ცენტრი, როგორც პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაციის (EVBB) წევრი, 2025 წელს, მიწვეული იყო ასოციაციის ეგიდით, ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გამართულ რამდენიმე ღონისძიებაზე. შეხვედრებზე წარმოდგენილი იყო თემები პროფესიული განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების, განსავითარებელი უნარებისა და კომპეტენციების შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგრანტო კონკურსებს და დაფინანსების სხვა მოდელებს, პროფესიული განათლების მიმართულებით.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ალბანეთში, ქალაქ ტირანაში გამართულ „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ (ENIC-NARIC Network) წარმომადგენლების ყოველწლიურ, რიგით 32-ე შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს: ავტომატური აღიარება უმაღლესი განათლების მიღმა - უმაღლეს განათლებაზე დამშვები (სრული ზოგადი განათლების) კვალიფიკაციების ავტომატურად აღიარების საკითხები. ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გამოვლენა აღიარებაში - სარგებლის ოპტიმიზაცია, რისკების შემცირება; ხარისხის კულტურის შექმნა: ENIC-NARIC-ის 10 წლიანი გამოცდილებიდან მიღებული გამოცდილება. აღნიშნულ სესიაზე განიხილეს TST2 PROJECT - ENIC-NARIC ქსელების თვითშეფასება და Peer Review. პანელურ დისკუსიაზე ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა, თუ როგორ იმოქმედა თვითშეფასების პროცესმა ცენტრის გუნდსა და ოპერაციებზე, ასევე, ხაზი გაუსვა, თვითშეფასების პროცესის ფარგლებში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ესტონეთში, ქ. ტალინში, ENQA-ს წევრი სააგენტოებისთვის გაიმართა სემინარი, რომელიც ეხებოდა გამოცდილების გაზიარებას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმებში.

ცენტრის წარმომადგენელი, ქალაქ ლისაბონში, მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის (World Bank) მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ სასწავლო ვიზიტში. აღნიშნულ ვიზიტში აქტიურად იყვნენ ჩართულები საგანმანათლებლო უწყებები, მათ შორის: განათლების გენერალური დირექტორატი (DGE), სკოლების ადმინისტრირების გენერალური დირექტორატი (DGAE) და სკოლების გენერალური დირექტორატი (DGEstE), ასევე, უნივერსიტეტები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ვიზიტის ფარგლებში განიხილეს შემდეგი საკითხები: სასწავლო გეგმების შემუშავება, დანერგვა და შეფასება; საგანმანათლებლო რესურსები და ტექნოლოგიები; სკოლების ქსელის რეორგანიზაცია და სასკოლო კლასტერების მოდელი; სკოლის ავტონომია და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სტანდარტები.

ცენტრმა, UNESCO-ს სათაო ოფისში (პარიზი, საფრანგეთი) გამართულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ 2019 წლის გლობალური კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სამთავრობათაშორისო კონფერენციის რიგით მეორე სესიაში (Second Session of the Intergovernmental Conference of the States Parties to the Global Convention on the Recognition of Qualifications concerning Higher Education) მიიღო მონაწილეობა. საქართველომ 2024 წელს, განახორციელა კონვენციის რატიფიცირება და შესაბამისად აღნიშნულ სესიაზე მიწვეული იყო სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. სესიაზე განიხილეს: ბიუროს არჩევნები; გლობალური და რეგიონული აღიარების კონვენციების ანგარიშების განხილვა; გლობალური კონვენციის (2025-2027) შუალედური სამუშაო პროგრამის დამტკიცება; გლობალური კონვენციის განხორციელების ოპერაციული სახელმძღვანელო პრინციპების პროექტის დამტკიცება.

უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა "ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფორუმში“ (EQAF), რომელიც ყოველწლიურად ტარდება, აღნიშნულ ფორუმში ცენტრის წარმომდგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. მიმდინარე წლის ფორუმი მიეძღვნა კრიზისულ პირობებში ხარისხის უზრუნველყოფას, ინსტიტუციური მდგრადობის შენარჩუნებას, ავტონომიასა და საერთაშორისო თანამშრომლობას უმაღლეს განათლებაში. ფორუმის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლებმა წარადგინეს პრეზენტაცია თემაზე - "Higher Education as Refuge: Georgia’s Response to National and Foreign Refugee Crisis".

CEENQA-ს მიერ წევრი სააგენტოებისთვის გამოცხადებული 2025 წლის თანამშრომელთა მობილობის/გაცვლის სქემის ფარგლებში დაფინანსდა ცენტრის ინიციატივა და 29 სექტემბრიდან - 1 ოქტომბრის ჩათვლით, სლოვენიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოში (NAKVIS) მობილობის სქემაში მონაწილეობას იღებდა ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც (NAKVIS) პრაქტიკას გაეცნო სტრატეგიის შემუშავებისა და თანამშრომლების განვითარების მიმართულებით.

ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ ჰააგაში, ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორატების ასოციაციის (SICI) გენერალურ ასამბლეას სხდომაში. მათ აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, წარადგინეს პრეზენტაცია - საქართველოში ჩატარებული SICI-ის 2025 წლის რიგით მეორე სემინარის ძირითადი შედეგები. გენერალური ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა ეროვნული წარმომადგენლების შეხვედრა, რომლის ძირითადი თემატიკა ეხებოდა SICI-ის სამუშაო შეხვედრების ფორმატისა და რაოდენობის შესახებ საკითხების განხილვას.

ქალაქ სტოკჰოლმში, ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თანამშრომელთა საერთაშორისო მობილობის კვირეულში, რომელიც შვედეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (UKA) ორგანიზებით ჩატარდა. მონაწილეებმა დანიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, ერთობლივი პროგრამები, თემატური ანალიზი, მტკიცებულებებზე, კვლევებზე

და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომა, ხელოვნური ინტელექტის როლი განათლებაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა და სტრატეგიული განვითარება, ორგანიზაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, ტრანსნაციონალური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ESG სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან მიმართებით. საერთაშორისო კვირეულში, საქართველოსთან ერთად შვედეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ლიეტვუის, უკრაინის, მოლდოვისა და სლოვაკეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების დაახლოებით 15 წარმომადგენელი მონაწილეობდა.
ცენტრის თანამშრომლები დაესწრნენ The Association for International Credential Evaluation Professionals ორგანიზაციის მიერ ხორვატიაში, ქალაქ კავტატში გამართულ "TAICEP 2025"-ის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც განიხილეს ისეთი ფუნდამენტური საკითხები როგორებიცაა: საერთაშორისო კვალიფიკაციების აღიარება, საერთაშორისო სტუდენტთა მობილობა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული პრაქტიკები. კონფერენციაზე ცენტრის თანამშრომელმა World Education Services-ის წარადგინა პრეზენტაცია - „Dual Challenges: Understanding Georgia's Education System and the Recognition of Qualifications from Occupied Regions".

საერთაშორისო ვალდებულებები

საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის, სასესხო შეთანხმების ადამიანური კაპიტალის პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, 2025 წელს, DLR 2.1.2-ის ფარგლებში, ავტორიზაცია გაიარა ჯამში 111-მა სამსაფეხურიანმა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ. შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გზამკვლევი, რომელიც გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე. ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის თემატიკაზე. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, დაიხვეწა თვითშეფასების პლატფორმა (https://evaluate.eqe.ge). დამტკიცდა თვითშეფასების განხორციელების წესი. შემუშავდა პლატფორმის გამოყენების სახელმძღვანელო, როგორც სკოლის წარმომადგენლებისთვის, ასევე, ცენტრის თანამშრომლებისთვის.
DLR 2.1.6-ის ფარგლებში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა 104 დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის საკითხი. 103 მათგანს (102 - საჯარო და 1 - კერძო ბაღი) მიენიჭა ავტორიზაცია, ხოლო ერთ სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე. დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა. გაფართოვდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი. ექსპერტებისა და დაწესებულებების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა თემატური ტრენინგი.

გაფორმებული მემორანდუმები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ცენტრმა შემდეგ 2 სააგენტოსთან გააფორმა მემორანდუმები: უნგრეთის აკრედიტაციის კომიტეტთან (MAB) და იტალიის უნივერსიტეტებისა და კვლევის შეფასების ეროვნული სააგენტოსთან (ANVUR). გაფორმებული მემორანდუმები ადგენს თანამშრომლობის რამდენიმე ძირითად მიმართულებას და მიზნად ისახავს სააგენტოებს შორის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული მიდგომების უკეთ გააზრებასა და თანამშრომლობას.

ERASMUS + პროგრამები

ARAQUA 2

პროექტი ARAQUA 2 მიზნად ისახავს ევროპაში უმაღლეს განათლებაზე წვდომის დამადასტურებელი კვალიფიკაციების (სრული ზოგადი განათლება; პროფესიული განათლება) აღიარების პროცესის გამარტივებასა და ჰარმონიზაციას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვლევების გაღრმავება, აღიარების მექანიზმების გამოცდა და სხვადასხვა ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობა. პროექტი, სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლების პროცესის გამარტივებასა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. ლატვიაში, ქალაქ რიგაში შედგა ERASMUS + პროექტის ARAQUA 2 პირველი შეხვედრა, სადაც დეტალურად მიმოიხილეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და სამოქმედო გეგმა.

GEOREF

ცენტრი, Erasmus+ ის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს - "საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით", რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰარმონიზაცია ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. პროგრამის განხორციელება კი უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზი, განახლდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო და რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების ანგარიშებთან დაკავშირებით მომზადდა საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. ჩატარდა გამოცდილების გაზიარების ორი ვებინარი (PLA), მათ შორის „სწავლის შედეგების" თემაზე. ასევე, რეგულარულად იმართებოდა სამუშაო და კვარტალური შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესის ფარგლებში მიმდინარე პროგრესის შესახებ პროექტში ჩართული საერთაშორისო ექსპერტების ინფორმირებას, მათგან უკუკავშირის მიღებასა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვას.

TPG-LRC Plus

პროექტის TPG-LRC Plus მთავარი მიზანია კვალიფიკაციების აღიარების პროცესის გამარტივება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

პროექტის ძირითადი თემები მოიცავს მასში ჩართული ქვეყნების კანონმდებლობის ლისაბონის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის ინიცირებას, ორგანოებს შორის

აღიარების პროცედურების თაობაზე არსებული პასუხისმგებლობების მკაფიო დელეგირებას, ლტოლვილთა კვალიფიკაციების აღიარების მექანიზმების დახვეწას და ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენების ზრდის წახალისებას.

QUATRA-TPG A2

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) კვალიფიკაციების ჩარჩოს საკითხებზე (TPG A on QF) ეფექტიან ფუნქციონირებას, წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარების გზით, რათა მათ შეძლონ EHEA-ს ძირითადი ვალდებულების №1 შესრულება უმაღლეს განათლებაში სამსაფეხურიანი პროგრამებისა და ხარისხების სისტემის (მოკლე ციკლის კვალიფიკაციების ჩათვლით) განვითარება და დანერგვა, რომელიც დაფუძნებულია სასწავლო შედეგებზე, ევროპულ კრედიტების დაგროვებისა და გადაცემის სისტემაზე (ECTS) და სრულად შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA). 2025 წელს, შედგა პროექტის პირველი შეხვედრა და განიხილეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

Micro-GEAR

ცენტრი მონაწილეობს "ერაზმუს+"-ის გრანტით დაფინანსებულ პროექტში - "მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა (Micro-GEAR)". პროექტში პარტნიორის სტატუსით ჩართულია სომხეთი, იტალია, გერმანია და ესპანეთი. 2025 წელს, პროექტის ფარგლებში, ცენტრი ჩართული იყო 15 სამუშაო შეხვედრაში, მიკროკრედიტების სტანდარტიზაციისა და ურთიერთაღიარების თემაზე, ცენტრმა ასევე, მონაწილეობა მიიღო სომხეთში გამართულ სასწავლო ვიზიტში. შემუშავებულია სახელმძღვანელო (გაიდლაინი) პროექტის ფარგლებში. ამასთან, 2025 წელს, ცენტრის თანაავტორობით შემუშავდა ანალიტიკური დოკუმენტი - „მიკროკრედიტების დანერგვა საქართველოს უმაღლეს განათლებაში“, შემუშავდა გზამკვლევი (Roadmap) საქართველოს უმაღლეს განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის“.

PROFFORMANCE+

2022-2025 წლებში, ცენტრი წარმოადგენდა პარტნიორ ორგანიზაციას საქართველოდან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის PROFFORMANCE+ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას ოთხ ძირითად მიმართულებაზე - დიგიტალიზაცია, ინკლუზია, ინტერნაციონალიზაცია და მდგრადი განვითარება - ფოკუსირებით. პროექტის ფარგლებში, 2025 წელს გაგრძელდა მუშაობა PAT შეფასების ინსტრუმენტზე, მოკლევადიან ონლაინკურსებზე და „სწავლების წარმატებული პრაქტიკის ბაზის“ განახლებაზე, რაც უმაღლესი საგანმანათალებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს აძლევდა სწავლა-სწავლებისთვის სასარგებლო რესურსებს. 2025 წელს, ცენტრი აქტიურად იყო ჩართული პროექტის საერთაშორისო ღონისძიებების თანაორგანიზებაში, მათ შორის „პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონკურსი 2024/25; თანასწორთა სწავლების აქტივობებსა (PLAs) და ექსპერტულ შეხვედრებში, ასევე, PAT ინსტრუმენტის პოპულარიზაციის აქტივობებში და ინსტიტუციური ელჩების (IPAs) ქსელის გაფართოებაში. საქართველოს წარმატება აღინიშნა პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონკურსში საქართველოდან 2 გამარჯვებულის გამოვლენით. ასევე, საქართველოს უმაღლესი განათლების წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულები PROFFORMANCE-ის ინსტიტუციური ელჩების (IPAs) ქსელში. ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

ბუდაპეშტში პროექტის შემაჯამებელ შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა PROFFORMANCE+-ის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობები.

DeSIRe

ცენტრი პარტნიორის რანგში მონაწილეობს ჰოვანეს ტუმანიანის სახელობის ვანაძორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ საერთაშორისო პროექტში - „რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“ (DeSIRe), რომელიც ხორციელდება Erasmus+ პროგრამის ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში (CBHE – Capacity Building in Higher Education).

პროექტის მიზანია, პროექტში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები აღიჭურვონ ე.წ. „რბილი უნარებით“, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ეფექტიან ადაპტაციას.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის გაიდლაინები, რომლებიც განსაზღვრავს პროექტის განხორციელების პროცესში ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ცენტრი მონაწილეობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ დრეზდენში გამართულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში ცენტრის მიერ მომზადდა და ჩართულ მხარეებს გაეგზავნა კითხვარები მათი კმაყოფილებისა და მოლოდინების შესაფასებლად, რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური ანგარიშები.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის პირველი შუალედური დასკვნა. მესამე სამუშაო პაკეტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ტრენინგი პროექტში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

ETHICS

ცენტრი წარმოადგენს ერთ-ერთ პარტნიორ ორგანიზაციას სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ პროექტში - „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS), რომლის მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა. პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს არაორიგინალური აკადემიური ნაშრომების პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.

2025 წელს 240-მდე აკრედიტაციის ექსპერტმა გაიარა ტრენინგები, რომლის შინაარსი კონცენტრიდებოდა ინსტიტუციაში სადოქტორო განათლების განახლებულ სტანდარტებზე და პასუხისმგებლობისა და კვლევის ეთიკის შეფასების საკითხებზე. 2025 წელს მიმდინარეობდა MOOC პლატფორმის ფუნქციონალის შემუშავება. მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები.

ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ტრენინგის თემატიკა ფოკურსდებოდა სადოქტორო პროგრამების შეფასების მიდგომების, უნივერსიტეტების გამოცდილებების, სადოქტორო განათლების ტენდენციებისა და კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერების შეფასების საკითხებზე.

HEAL

ცენტრი არის კონსორციუმის წევრი, რომელიც ახორციელებს Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტს ,,განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში (HEAL).” პროექტის მიზანია საქართველოში ექიმ-სტომატოლოგთა გაძლიერების ხელშეუწყობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტომატოლოგიის პროგრამების სასწავლო გეგმის განახლების გზით და სტუდენტების იმ ცოდნითა და უნარებით აღჭურვა, რაც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად.

პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაში ცენტრს შეაქვს კონტრიბუცია ყოველ ეტაპზე, საბოლოო შედეგი კი გულისხმობს პროექტის შედეგების დანერგვას სწავლებაში, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების გაჩენას საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხში და დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებას დარგობრივ მახასიათებლებსა თუ სხვა ჩარჩო დოკუმენტებში.

2025 წელს ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პრაქტიკოს სტომატოლოგებთან. ტრენინგის თემატიკა ფოკურსდებოდა შშმ პირებისთვის სტომატოლოგიური სერვისების ხარისხიანი მიწოდების საკითხებზე. ასევე გაანალიზდა სტომატოლოგიის სწავლებაში გამოყენებული სილაბუსები და დაემატა გარკვეული საკითხები. ასევე დაწესებულებებში დაიგეგმა საჭირო ინფრასტრუქტურული ცვლილებები.

DUGEOR

ცენტრი მონაწილეობდა „საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტში - DUGEOR, როგორც პროექტის პარტნიორი. პროექტის ფარგლებში, შესრულდა ცენტრის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ შემუშავდა 3 პროექტი, რომელთაგან ერთი წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტში ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 4 მაისის N65ნ ბრძანება) ცვლილების პროექტს, ხოლო, ორი კი ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელთაგან ერთი შეეხება დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მომწესრიგებელ წესში დუალური პროგრამების შესახებ რეგულირების გაჩენას, ხოლო, მეორე კი ადგენს ცენტრში წარმოსადგენ შეთანხმების პროექტს დუალური პროგრამის განმახორციელებლებს შორის.

PRODIGE

ცენტრი აგრძელებს Erasmus+ ის პროექტში - „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE)“ მონაწილეობას, რომლის მთავარი მიზანია ციფრული უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საქართველოში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სასწავლო ტურში, ესპანეთის სამეფოს დედაქალაქ მადრიდში, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყო დისტანციური განათლების ნაციონალურ უნივერსიტეტში (UNED, მადრიდი) პროექტის

„ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში სამუშაო შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ციფრული უმაღლესი განათლების მიმართულებით ევროპული გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში ამ სფეროს შემდგომ განვითარებაზე აქტიურ კონსულტაციებს. უცხოელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით, წლის განმავლობაში, ჩატარდა სხვადასხვა სემინარები და შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემის დონეზე ონლაინუნივერსიტეტის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკებისა და გამოცდილების გაზიარებას.

თავი III - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

კლასტერული შეფასება გაიარა და აკრედიტაცია მიენიჭა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 95 კლასტერის 322 საგანმანათლებლო პროგრამას; ინდივიდუალური შეფასება გაიარა და აკრედიტაცია მიენიჭა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 80 ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამას. ამ პროგრამებიდან, 17-მა პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია, 25 პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა მონიტორინგის პირობით, 3 პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, 55 პროგრამას მინიჭა აკრედიტაცია პირობების გარეშე, ხოლო 222 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ანგარიშის წარმოდგენის პირობით. შეფასდა და აკრედიტაციის საბჭოზე განხილულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების 89 ანგარიში. მონიტორინგების საკითხები: აკრედიტაციის საბჭოზე განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის 37 საკითხი (8 გეგმური, 29 არაგეგმური).



გრაფიკი №3: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ძირითადი მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 16 სხდომა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მინიჭების შესახებ განიხილეს 15 საკითხი, მათ შორის: 2 საკითხი უკავშირდებოდა სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული გადაწყვეტილებების ხელახალ განხილვას; 2 საკითხი წარმოადგენდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხს, ხოლო, 1 საკითხი იყო განხილული სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით. მონიტორინგების საკითხები: 5 საკითხი გეგმიური/არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ; 6 საკითხი საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების

შესახებ ანგარიში; 4 საჩივრის განხილვის საკითხი, ხოლო 2 საკითხი ფართის დამატების შესახებ.

განახლდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ზოგიერთი კომპონენტი. ცვლილებები მიმართული იყო სტანდარტების ESG 2015-ის I ნაწილთან უფრო მჭიდრო შესაბამისობისკენ, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გამჭვირვალობისა და შეფასების ციკლურობის გაძლიერებისკენ. დამტკიცებული ცვლილებები ასახავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საჯაროობის ვალდებულებას, პერსონალის შერჩევის პროცესების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, ასევე შეფასების შედეგების სისტემურ ანალიზსა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

2025 წელს, შემუშავდა დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) ფორმატით შეფასების განხორციელების წესი. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს იმ განსაკუთრებულ შემთხვევებსა და პირობებს, როდესაც ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად.

ცვლილებები შევიდა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. რომლების თანახმადაც, თუ საავტორიზაციო განაცხადი ცენტრს წარედგინა ავტორიზაციის/აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის ვადების დაცვით და ცენტრის დირექტორმა გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ავტორიზაციისექსპერტთა შესაბამისი ჯგუფის შექმნის თაობაზე/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის თაობაზე, ავტორიზაციის სათანადო საბჭოს მიერ მიღებული, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე სტატუსის მაძიებელი ჩაითვლება ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად/აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამად ავტორიზაციის/აკრედიტაციის ვადის გასვლიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

2025 წელს, განხორციელდა განათლების, გარემოსა და ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროების მიმართულებით აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის პროცესი.

2025 წელს, მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსები როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ექსპერტებით. ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსს დაემატა 24 ახალი ექსპერტი, ხოლო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსს შეემატა 148 ექსპერტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა 9 ტრენინგი. ასევე, ჩატარდა 50-მდე ფოკუსირებული ტრენინგი აკრედიტაციის პროცესში ჩართული პირებისთვის.

სისტემის სხვადასხვა მხარეთა განმავითარებელი აქტივობები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, დაწესებულებებთან ჩატარდა 20 სამუშაო შეხვედრა. ETHICS პროექტის ფარგლებში, წლის ბოლოს ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სამუშაო შეხვედრები გაიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოს წევრებთან. შეხვედრების თემატიკა შეეხებოდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თავისებურებების მიმოხილვას. ასევე, საბჭოს საქმიანობის პრინციპების გაცნობას.

ცენტრმა შეიმუშავა და დანერგა ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და აპელაციის საბჭოს წევრთა სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საბჭოების საქმიანობის ერთიან მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. სახელმძღვანელო განსაზღვრავს საბჭოს წევრთა როლსა და პასუხისმგებლობებს, სტანდარტების თანმიმდევრული ინტერპრეტაციის პრინციპებს, გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასაბუთების მოთხოვნებს, აგრეთვე საჯარო მოსმენების წარმართვისა და ექსპერტთა დასკვნებთან მუშაობის პროცედურებს. დოკუმენტი ასევე აერთიანებს პროფესიული ქცევის, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს და ხელს უწყობს საბჭოს წევრთა საქმიანობის თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილებების სანდოობის გაძლიერებას.

კვალიფიკაციების განვითარება

2025 წელს, ცენტრი აგრძელებდა მუშაობას კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავების მიმართულებით. აღნიშნული წარმოადგენს ინსტიტუციურ მექანიზმს, რომლის მიზანია საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის, სისტემატიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

2025 წელს, განხორციელდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისა და განახლების პროცესები. კერძოდ, შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი განათლების 9 დარგობრივი მახასიათებელი, ხოლო, განახლდა 10 დოკუმენტი. 2025 წლის მდგომარეობით, ჯამში 102 უმაღლესი დარგობრივი მახასიათებელია შემუშავებული ან/და განახლებული. სწავლის სფეროების კლასიფიკატორს დაემატა სწავლის ახალი სფეროები: კიბერუსაფრთხოება და ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების მენეჯმენტი. ასევე, დაინიცირდა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმის სწავლის სფეროს დამატება.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების უმრავლესობა წარმატებით განხორციელდა. აღნიშნული რეკომენდაციები 2024 წელს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად მომზადდა. მონიტორინგი, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება, ეფუძნებოდა სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებულ მონიტორინგის ანგარიშს. ანგარიშზე დაყრდნობით მომზადებული რეკომენდაციების პაკეტი შეთანხმდა ცენტრის მრჩეველთა და საკოორდინაციო საბჭოებთან.

თავი IV - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

2025 წელს, პროფესიული განათლების მიმართულებით, ავტორიზაცია/რეავტორიზაციისა და პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების და პროფესიული პროგრამების დამატების პროცესი წარმატებით დაასრულა 151-მა დაწესებულებამ. მონიტორინგი ჩაენიშნა 86 დაწესებულებას.



გრაფიკი №5: პროფესიული ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ძირითადი მაჩვენებლები

ცვლილება შევიდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს N143/ნ ბრძანებაში, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული პროგრამების დისტანციური ფორმით განხორციელების მოქნილი მიდგომების დანერგვას.

2025 წლის მონაცემებით, ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 34 სხდომა, სადაც განიხილეს 221 საკითხი. გრძელვადიანი პროფესიული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა 31 მონიტორინგი, მათ შორის 4 არაგეგმიური მონიტორინგი. ჩატარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 17 სხდომა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს 6 არაგეგმიური მონიტორინგის წარმოება.

საგანმანთლებლო დაწესებულების ხარისხის შიდა მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელდა EQAVET-ის ზოგიერთი ინდიკატორის ინტეგრირება თვითშეფასების განაცხადში. 2025 წლის მონაცემებით, 75-მა დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების განაცხადი, რომელშიც ასახულია აღნიშნული ინდიკატორები (აქედან 45 განაცხადი რეავტორიზაციის პროცესს უკავშირდებოდა).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის ფარგლებში, 2025 წელს 64 საჯარო სკოლაში დაინერგა 64 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,

რისთვისაც ცენტრმა სკოლებს გამოუყო მხარდამჭერი ექსპერტები და ჩაატარა წინასწარი ტრენინგები. საერთო ჯამში, სისტემაში უკვე ფიქსირდება 84 საჯარო სკოლა, რომლებმაც მოიპოვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. გარდა ამისა, ჯამში 2 კერძო სკოლაში დაინერგა 5 ინტეგრირებული პროგრამა, ხოლო 2025 წელს, 4 საჯარო სკოლაში - 4 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა. საერთო ჯამში 11 საჯარო სკოლაშია დანერგილი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები.

ექსპერტთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, დარგის ექპერტებისთვის ჩატარდა განმავითარებელი ტრენინგი, სადაც ყურადღება გამახვილდა შრომის ბაზართან შესაბამისობის შეფასებაზე, ვიზიტისას კითხვების სწორ ფორმულირებასა და დასკვნის შედგენის პრინციპებზე. ასევე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა შეხვედრა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისთვის. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების სპეციფიკა, ელექტრონულ პლათფორმაზე არსებული ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შემუშავებული პროგრამების რეგისტრაციის პროცედურები, , რეკომენდაციები განცხადებების მომზადებისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში ჩართული პირებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა აქტივობები. შეხვედრების ფარგლებში, საბჭოს წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია საბჭოების საქმიანობის არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. ასევე, შეხვედრების ფარგლებში საბჭოების ახალ/განახლებულ შემადგენლობებს მიაწოდეს ინფორმაცია საბჭოს წევრების უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ.

2025 წლის განმავლობაში, სისტემას დაემატა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების 130 პროგრამა, აქედან 119 - უფლების მოპოვებით. დღეისათვის სისტემაში ხელმისაწვდომია პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების 632 პროგრამა. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს 74 საგანმანათლებლო დაწესებულება და 75 იურიდიული პირი ახორციელებენ.

არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტებისთვის და დაწესებულებებისთვის არაფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკულ საკითხებზე გაიმართა თემატური შეხვედრა, სადაც მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია და გააზიარეს გამოცდილება. ორივე შეხვედრა მოიცავდა გამოცდილების გაზიარებას, აღიარების პროცედურების განხილვასა და კითხვებზე დეტალურ პასუხებს.

არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით, 2025 წლის მონაცემებით, აღიარების უფლება მოპოვებული აქვს 12 დაწესებულებას, რომლებიც სერვისს 15 ვიწრო სფეროში ახორციელებენ.

თავი V - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ადმინისტრაციული წარმოებების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2025 წელს შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გზამკვლევი, რომელიც გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდ ცენტრის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.



გრაფიკი №6: საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მაჩვენებლები

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, დაიხვეწა თვითშეფასების პლატფორმა (https://evaluate.eqe.ge); დამტკიცდა თვითშეფასების განხორციელების წესი, შემუშავდა პლატფორმის გამოყენების სახელმძღვანელო, როგორც სკოლის წარმომადგენლებისთვის, ასევე, ცენტრის თანამშრომლებისთვის. სკოლების წარმომადგენლებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები.

თვითშეფასების პლატფორმის გამოყენებით, ცენტრში ყოველწლიური თვითშეფასება წარმოადგინა 665-მა ავტორიზებულმა სკოლამ.

2025 წელს, ივლისის თვეში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი 2024 წელს ავტორიზებულ 126 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თემაზე "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროცესების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა", ტრენინგის მიზანი სკოლის პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. თითოეული სკოლიდან ტრენინგს დაესწრო დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განახლებული ფორმები. აღნიშნული ფორმების გაცნობის მიზნით, ექსპერტთა კორპუსის წევრებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა.

საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმა“.

ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლებთან, მონიტორინგის წარმოების სპეციფიკასთან დაკავშირებით 2 შეხვედრა/ტრენინგი გაიმართა. გეგმიური მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებულ სკოლებთან 6 შეხვედრა გაიმართა.

მსოფლიო ბანკისა და ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით მომზადდა კვლევა, რომლის მიზანი იყო ავტორიზაციის გავლენის შეფასება ზოგად განათლებაში. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო 2024 წელს ავტორიზებული სკოლები.

საზღვარგარეთ აღიარებულ პროგრამებზე სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მექანიზმის შემუშავების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან, ასევე, საბაზო განათლების კვალიფიკაციასთან გათანაბრების ინსტრუმენტის განსაზღვრის მიზნით, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ცენტრის მხრიდან წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

თავი VI - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ცვლილება შევიდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმის დამტკიცების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 სექტემბრის ბრძანებაში“, რომლის შესაბამისადაც, 2025 წლის ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმით გათვალისწინებულა 125 საბავშვო ბაღი. სრული ავტორიზაცია მიენიჭა 2 საჯარო ბაღს. 101 (100 საჯარო და 1 კერძო) საბავშვო ბაღს ჩაენიშნა მონიტორინგი.



გრაფიკი №7: ძირითადი მაჩვენებლები ავტორიზებული ბაღების შესახებ

დაწესებულებების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ტრენინგები ჩატარდა ავტორიზაციის II და IV სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში გაფართოვდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი. ექსპერტთა კორპუსის წევრების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით,

ექსპერტებისთვის ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმებისა და კვების დარგში.
ავტორიზაციის პროცესში დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ასევე, ერთი ტრენინგი ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს წევრების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.
კონსულტანტებმა, 2025 წლის ადმინისტრაციული წარმოებების გეგმით გათვალისწინებული ყველა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს (125) ინდივიდუალური კონსულტაციები გაუწიეს ავტორიზაციის განაცხადის შევსებასა და 2025 წელს თვითშეფასების ფორმის შეცვლილ ვერსიასთან დაკავშირებით; ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაანალიზების, შეუსაბამობების იდენტიფიცირების, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის არსის, ფორმისა და მიზნობრიობის შესახებ.
ცვლილება შევიდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად ნაცვლად 4 წლისა განისაზღვრა 6 წელი.
დამტკიცდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2026 წლის წლიური გეგმა.

თავი VII - საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

დაინერგა აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციის სერვისზე დაჩქარებული მომსახურება. იუსტიციის სახლის ოპერატორებისთვის, მათი შესაძლებლობების გაძლიერებისა და დაჩქარებული წარმოების წესზე გადასვლის პროცესის გასაუმჯობესებლად შეიქმნა აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციის სერვისის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.
სსიპ - იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ქუთაისსა და ბათუმში დაიგეგმა და ჩატარდა 2 ტრენინგი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის შესახებ. ჯამში, ტრენინგი გაიარა იუსტიციის სახლის 60-ზე მეტმა თანამშრომელმა.
მომზადდა Erasmus+ TST2 project-ის (ENIC-NARIC ქსელების თვითშეფასება და Peer Review) ფარგლებში შემუშავებული Enic საქართველოს თვითშეფასებებისა და რეკომენდაციების ანალიზის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თვითშეფასებებიდან საუკეთესო რეკომენდაციებსა და გამოცდილებას, რომელთა დანერგვაც ცენტრშია შესაძლებელი. სულ გაცემულია 7 რეკომენდაცია, რომელთაგან ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების სამსახურმა თავისი კომპეტენციის შესაბამისად, 6 რეკომენდაციის გათვალისწინება მიიჩნია მიზანშეწონილად.
საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ცენტრში დაინერგა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე განცხადების ელექტრონულად შემოტანის მექანიზმი.

ცენტრის მიერ შეთავაზებულია საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების და საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის, ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით საქართველოში მიღებული სრული ზოგადი, ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გადაწყვეტილების მომზადების სერვისი, რომლისთვისაც გათვალისწინებულა შესაბამისი საფასური.

ცენტრის მიერ, ფიზიკური პირებისთვის დაინერგა გაწეულ მომსახურებებზე საფასურის გადახდისაგან თავისუფლების/შეღავათით სარგებლობის განახლებული პოლიტიკა.

საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის მოქმედი და მომავალი თანამშრომლებისთვის შეიქმნა და განახლდა სერვისების აღწერისა და მიწოდების პროცესის შესახებ Eflow-ს მოხმარების ვიდეოგაკვეთილები და PDF სახელმძღვანელოები. ჯამში, ხელმისაწვდომია 8 ვიდეოგაკვეთილი და სახელმძღვანელოები.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრინციპების შესახებ მომზადდა საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დოკუმენტი. დოკუმენტში მიმოხილულია ნორვეგიის სამეფოს, ნიდერლანდების სამეფოსა და იტალიის რესპუბლიკის ENIC–NARIC ცენტრების გამოცდილება, ასევე, იდენტიფცირებულია მთავარი გამოწვევები, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოს აქვს აღნიშნული მიმართულებით.



გრაფიკი №8: ცენტრის მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო სერვისების სტატისტიკა

თავი VIII - ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებული აქტივობების ანალიზი

ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/დირექტორს დაქვემდებარებული პირების მიერ დაიგეგმა 7 მიზნის, 27 ამოცანის 83 აქტივობის განხორციელება. 2025 წელს, შესრულდა 72 აქტივობა, ნაწილობრივ შესრულდა - 8, ვერ შესრულდა - 2 და გადავადდა - 1 აქტივობა.



გრაფიკი №9: 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცენტული განაწილება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2 ტელეფონი/ფაქსი: +995 32 2 02 21 21 საფოსტო ინდექსი: 0193 ელ. ფოსტა: info@eqe.ge